



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულო

N 65

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

ქ. გარდაბანი
23.08.2024

65-06-4-202408231313



„გარდაბნის მუნიციპალიტეტის წარმატებული სპორტსმენის ჯავიდ კიარიმოვისა და მწვრთნელის ფარიდ აბდულაევის დაჯილდოების შესახებ“ გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 30 მაისის №51 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“ 63-ე მუხლის შესაბამისად, გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულომ

გ ა დ ა წ ვ ვ ი ტ ა :

მუხლი 1

შეტანილ იქნეს ცვლილება - „გარდაბნის მუნიციპალიტეტის წარმატებული სპორტსმენის ჯავიდ კიარიმოვისა და მწვრთნელის ფარიდ აბდულაევის დაჯილდოების შესახებ“ გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 30 მაისის №51 განკარგულებაში და განკარგულების მეორე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 2

გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერმა უზრუნველყოს თანხის გადარიცხვა უნადლო ანგარიშწორებით, არასრულწლოვანი სპორტსმენის კანონიერი წარმომადგენლის - სადი კიარიმოვისა და მწვრთნელის ფარიდ აბდულაევის საბანკო ანგარიშებზე:

სადი კიარიმოვი - 600 (ექვსასი) ლარი,
ფარიდ აბდულაევი - 300 (სამასი) ლარი, 3/

მუხლი 2

განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

მუხლი 3

განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს რუსთავის საქალაქო სასამართლოში (ქ. რუსთავი, ბოსტანქალაქის ქ. N6) საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 22-ე მუხლის მე-3 ნაწილით დადგენილი წესით.

მიხეილ გედეხაური

საკრებულოს თავმჯდომარე

